გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 89
(11 648)

15 - 18 ნოემბერი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:

- „კოჭლი ჩემპიონატი“ არ გვჭირდება
- „ლომა“ ახლო პლანით, თავისი იუმორით...
- შენიშვნები სფფ-ს წესდების პროექტზე
- გავიხსენოთ ტაშკენტი, 18 ნოემბერი...
- დღეს ჩემპიონთა ლიგის წილისყრაა
- კახი კალაძეზე ნადირობა დაიწყო
- ისევ კასპაროვი და კარპოვი...

## ბატონებს ვახტანგ ბალავაძეს, გიორგი სხირტლაძეს, სიმონ მაისურაძეს! მილოცვები

მოხდა ისე, რომ ერთდროულად, საზეიმოდ აღინიშნება დაბადებიდან თქვენი საიუბილეო თარიღები. გარკვეულწილად სიმბოლურიცაა ეს დამთხვევა, რადგან ჭიდაობის საერთაშორისო და ეროვნული სახეობების თავისებურ დღესასწაულად იქცა თქვენი ღვაწლის საერთო დაფასება. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების თუ პრიზიორების ოსტატობა ქართული ჭიდაობის მადლთანაა წილნაყარი.

გისურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელ და დღეგრძელ სიცოცხლეს.

ღრმა პატივისცემით,

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სულითა და გულით მიესალმება და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში, „ჭიდაობის პროფესორს“ ვახტანგ ბალავაძეს.

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ღრმა პატივისცემით მიესალმება თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა (1960) და ბრინჯაოს (1956) პრიზიორს გიორგი სხირტლაძეს.

* * *

ხვალ, 16 ნოემბერს, 12 საათზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სააქტო დარბაზში საზეიმოდ აღინიშნება ვახტანგ ბალავაძის დაბადებიდან 75 და გიორგი სხირტლაძის დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღები.

* * *

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი დაბადებიდან 75 და სპორტული მოღვაწეობის 60 წლისთავს ულოცავს ქართული ჭიდაობის საყოველთაოდ აღიარებულ ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს სიმონ მაისურაძეს.

* * *

მაისურაძეთა საგვარეულო მიესალმება და დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს მთელი საქართველოსთვის საამაყო ვეტერან ფალავანს, ქართული ჭიდაობის ცოცხალ ლეგენდას, ღირსეულ პიროვნებას და მამულიშვილს სიმონ მაისურაძეს.

* * *

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვებს.

## გამოხმაურება წერილზე „ერთად ვიმსჯელოთ“

„ლელოს“ რედაქციას!

ნამდვილად დროულია თქვენი გაზეთის მიერ სამსჯელოდ გამოტანილი საკითხი მშდ-ს და სპორტში ნორმატივების შესახებ.

გეთანხმებით, რომ მშდ-ს კომპლექსმა დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის ფიზიკური სიძლიერის, ფიზიკური თვისებების — ძალის, გამძლეობის, სისწრაფის და მოქნილობის განვითარების, ჯანმრთელობის განმტკიცების, აქტიური სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ბოლოს, სამშობლოს დაცვისათვის მომზადებაში, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სპორტში კლასიფიკაციას.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია

მოწმობა №

სახელი ____________

გვარი ____________

შედეგი ____________

მიენიჭა საქართველოს სპორტის ____________

____________

წოდება ____________

____________

პრეზიდენტი ____________ ვ. გოიაშვილი

სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ რამდენიმე წელი იმუშავა უნორმატივებოდ, მაგრამ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასე მუშაობის გაგრძელება არაეფექტური იყო. სპორტსმენს აღარ გააჩნდა სტიმული, არ იცოდა მისი მიღწევა რას უტოლდებოდა.

ფედერაციამ ოთხივე სპორტის სახეობაში შეადგინა კლასიფიკაცია და დაამტკიცა გამგეობის სხდომაზე. ოსტატის და კანდიდატის ნორმატივს ანიჭებს ფედერაცია და გასცემს ოფიციალურ დოკუმენტს (თან ერთვის). დანარჩენ თანრიგებს ანიჭებს სპორტული სკოლა.

გეთანხმებით, რომ ახალ ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდება და ჩემი აზრით, მშდ კომპლექსი და ნორმატივები სპორტში აუცილებელზე აუცილებელია. მაგრამ უცვლელად ყველაფრის გადმოტანა, ვფიქრობ, მიზანშეწონილი არ იქნება. თითოეულმა ფედერაციამ, ალბათ, უნდა განიხილოს და იმსჯელოს სახსრების, ბაზების მდგომარეობის გათვალისწინებით, გაანალიზოს, თუ რა პირობებში უხდება, საერთოდ, მუშაობა, ასევე გაითვალისწინოს ევროპის, მსოფლიო, ოლიმპიური თამაშების შედეგები და აქედან გამომდინარე შეადგინოს (შეიმუშავოს) რეალური კლასიფიკაცია.

ვფიქრობ, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი დღევანდელი შეჭირვებული ცხოვრების პირობები — აღარ ეწყობა შეკრებები, არაა ნორმალური კვება ოჯახში, ე.ი. შეუძლებელია აინაზღაუროს მოზარდმა დახარჯული ენერგია? ყოველივე ამის შემდეგ მწვრთნელს აქვს კი უფლება მისცეს იგივე დატვირთვა შეგირდს, როგორც წარსულში? ყველაფერ ზემოთქმულზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

ბივი ცქიტიშვილი,
საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი.

## მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ექო

## მართლაც, რა ხდება?

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული საგანგაშო წერილი, რომელშიც ჩვენი მოჭადრაკე ქალების მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში წარუმატებლობით გამოწვეული აღშფოთება აისახა, მე ვიტყოდი, ერთგვარად მორიდებულიც იყო იმ ფონზე, რაც მოხდა. უფრო ძლიერად და დაუნდობლად უნდა შემოვკრათ საგანგაშო ზარებს. საქართველოში ყველაფერი უფასურდება, ამას ნელ-ნელა შეგვაჩვიეს, მაგრამ თუ ქართველ მოჭადრაკე ქალთა „მზეც ჩაესვენებოდა“, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ალბათ სხვებიც დამეთანხმებიან.

ჩვენი მოჭადრაკე ქალები მიღწევებით მუდამ გვანებივრებდნენ, ვალში არც გულშემატკივრები რჩებოდნენ, „დედოფლები“ მუდამ საყოველთაო სიყვარულით იყვნენ გარემოსილნი. მარადიული ამქვეყნად არაფერია, არც იმის ილუზია გვაქვს, რომ ქართველი მოჭადრაკე ქალები სამუდამოდ შემორჩებოდნენ სადედოფლო ტახტს ან საჭადრაკო ოლიმპიადებში მუდამ უბადლონი იქნებოდნენ... სხვა რამე მინდა ვთქვა. როცა შეგიძლია მოიგო და ამას ვერ ახერხებ, თანაც შენზე სუსტ მეტოქეებთან (მხედველობაში მაქვს ოლიმპიადის ბოლო პარტიები), გულშემატკივრებს უფლება გვაქვს ვიკითხოთ: რა ხდება?

„ორგანიზაციული უთავბოლობა“ ახსენეთ „ლელოს“ წინა ნომერში. ალბათ მართლა ასეა. როგორი ძლიერიც გინდა იყო, თუ ორგანიზაციულად ყველაფერი რიგზე არ არის, თუ გუნდში ერთსულოვნება ვერ დაამკვიდრე, ვერც მიზნის მიღწევას შეძლებ. იმედია, კითხვაზე თუ რა ხდება, მალე მივიღებთ პასუხს. არამც და არამც ეს საკითხი მხოლოდ ფედერაციის სამსჯელო არ უნდა გახდეს – თავის თავს არავინ გაიმტყუნებს. ხშირად გვსმენია და წაგვიკითხავს, როგორი ამბიციურია ჭადრაკის ფედერაცია მატერიალური დახმარების მოთხოვნებში. ახლა დროა, მათაც მოეკითხოთ.

არ მინდა დავიჯერო, რა ხმებიც დადის, ნუთუ ფედერაციის ხელმძღვანელობამ მართლა ერთპიროვნულად დააკომპლექტა დელეგაცია და უკანა პლანზე გადასწია საერთო ინტერესები?

მართლაც, რომ დროა ყველაფერი ითქვას!

ლევან ხანიშვილი,
თბილისი.

ბურთს იგერიებს გიორგი ლომაია




## სამბოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრება

სამბოში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი, მას შემდეგ, რაც ფინანსური პრობლემები მოგვარდა, პანამაში გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ამ თვის ბოლო კვირაში ქვეყნის დედაქალაქ პანამაში დაიწყება და 1 დეკემბერს დასრულდება.

გუშინ „ლელო“ დაუკავშირდა სამბოს ეროვნულ ფედერაციას. ვიცე-პრეზიდენტმა მურად მწარიაშვილმა დაგვისახელა ჩვენი ნაკრების სრული შემადგენლობა: დავით მიხელიძე (52 კგ. ლაგოდეხი), აკაკი ხანიშვილი (57, გორი), მამუკა კურდღელაშვილი (62, საგარეჯო), ბადრი ჯანიაშვილი (68, კასპი), არჩილ ჩოხელი (74, მცხეთა), ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82, გორი), გიორგი შუბითიძე (90, რუსთავი), მირიან პავლიაშვილი (100, სოფ. ძალისი), რატი ფერაძე (მძიმე, ზესტაფონი), მთავარი მწვრთნელია ოლეგ იაძე, მსაჯად მიემგზავრება ემილ რაში.



## საქართველო ნახევარი მსოფლიოა, გამარჯვებული ქართველებით კი მთელი პლანეტა!

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მსოფლიოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მატჩში მონაწილეობისთვის მსოფლიო ნაკრებში საქართველოდან ელდარ კურტანიძე (96 კგ) და ოთარ თუშიშვილი მიიწვიეს, პლანეტის ნაკრებს კიდევ ერთი ქართველი დაემატა კანადიდან — გია სისაური (60). ასე რომ, 7 წონით კატეგორიაში თითქმის ნახევარი გუნდი ქართველებით დაკომპლექტდა, რითაც საქართველო და დანარჩენი მსოფლიო თითქმის შუაზე გაიყო, ანუ საქართველო ნახევარ მსოფლიოდ იქცა. ახლა იმასაც თუ ვიტყვით, რომ იმ ორად ორი გამარჯვებულიდან მსოფლიო ნაკრებში ორივე ქართველია, მაშინ მთელი „პლანეტა ქართული ყოფილა“.

## დავით სახვაძე მსოფლიოს მსაჯთა ელიტაში

ლოზანაში ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა სპორტის ამ სახეობაში მთავარი შეჯიბრებების კალენდარი 2003 წლისათვის. კადეტთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება აპრილში იტალიის ქალაქ ტრაპანში, დიდებში — კუბაში, სექტემბერში. აღმასკომის იმავე სხდომაზე დამტკიცდა იმ 24 მსაჯის სია, რომლებიც მოემსახურებიან კადეტთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატს. რჩეულ მსაჯთა შორისაა საქართველოს წარმომადგენელი დავით სახვაძე, რომლისთვის, მსაჯის რანგში, ეს იქნება მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი. დავით სახვაძე იმსაჯებს აგრეთვე 2003 წლის ივნისში „ა“ კატეგორიის ტურნირს („მსოფლიოს თასის“ ეტაპი), რომელიც გაიმართება ტუნისში.




ტაშკენტი, 1964 წელი, 18 ნოემბერი, გამარჯვების პირველი წამი...

## „რაინდი“ ვიცით, იქნებ სხვა სიტყვა მოვიძიოთ?

„ლელოში“ გამოქვეყნებულმა სადისკუსიო წერილმა („ერთად ვიმსჯელოთ“, „ლელო“, №85) მკითხველთა და სპორტის სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. აზრთა სხვადასხვაობა კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გარკვეულ შეთანხმებამდე უეცრად ვერ მივალთ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპორტული მიღწევებისთვის უმაღლესი წოდების მინიჭების საკითხი. ცხადია, ვთქვათ, ოლიმპიური ჩემპიონობა თავადაა სპორტში მოღვაწეობის გვირგვინი, მაგრამ ადრე, კომუნი-

(იხ. მე-2 გვ.)

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 9 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 3 თვე გვაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## „რაინდი" ვიცით, იქნებ სხვა სიტყვა მოვიძიოთ

*(პირველი გვერდიდან)*

სტურ ეპოქაში, ამას კიდევ ემატებოდა სხვა დაფასება — „სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება", რაც ავტომატურად ენიჭებოდა სპორტსმენს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში სხვებს განსაკუთრებული წარმატებისთვის. თაობებს ეს ახსოვს. როგორც ჩანს, „კიდევ რაღაც", მაინც მაცდურია და მითქმა-მოთქმა, რომელიც კარგა ხანია დაიწყო, არ წყდება. განსაკუთრებულად სიტყვა „რაინდს" ახსენებენ მეტწილად. ეს იმას ნიშნავს, რომ დასტურისა და შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მაღალი რანგის სპორტსმენს თვალსაჩინო მიღწევისათვის და ღვაწლისთვის მიენიჭა „საქართველოს სპორტის რაინდის" წოდება.

მაგრამ არის კი სიტყვა რაინდი იმ მნიშვნელობის, როგორც წარმოგვიდგენია? ჩავიხედოთ „ქართული სიტყვის განმარტებით ლექსიკონში" (1990 წ. გამოცემა). აი, როგორაა იქ განმარტებული ეს სიტყვა: „რაინდ-ი 1. უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილი, დიდსულოვანი ადამიანი (მამაკაცი). როგორც ნამდვილი რ., ისე იქცეოდა. 2. (წიგნ) უშიშარი, გმირი, თავდადებული მებრძოლი, ხალხისთვის წამებული რაინდები. 3. (გვ.) მიჯნური, სატრფო. 4. (ისტ.) ფეოდალიზმის დროს — სამხედრო-თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელი, მძიმედ აღჭურვილი მხედარი".

ახლა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის" განმარტება ვნახოთ. **„რაინდი"** ესე არს ცხენთა გამწვრთნელი. რაინდი ეწოდების, რომელნი ცხენთა კეთილად განსწვრთდეს ნებად მხედრთა გინა ეტლთა..."

ჩვენ გვესმის, რომ ბევრმა სიტყვამ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და სხვა დატვირთვა მიიღო, სხვა შინაარსი შეიძინა. კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენად შეესაბამება ახლა ეს სიტყვა „საქართველოს სპორტის რაინდის" წოდებას, მკითხველმა განსაჯოს.

„ლელოს" რედაქცია სთხოვს ყველას, ერთად ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ ამ საკითხზეც. რა არის ის სიტყვა, რომელიც ასე ძვირფასია და ერთად უნდა ვიპოვოთ?

მოსაზრებები მოგვაწოდეთ „ლელოს" რედაქციაში ან დაგვირეკეთ.

## ? შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: თუ შეგიძლიათ თქვენი გაზეთის საშუალებით გვიამბეთ საქართველოს ფრენბურთელების შედეგებზე ევროპულ ტურნირებში, რომლებიც ახლახან გაიმართა.**

*გია და თეონა ნიკოლეიშვილები, სამტრედია*

**პასუხი:** მიმდინარე წელს საქართველოს ფრენბურთელთა გუნდები პირველად ჩაერთვნენ ევროპულ ტურნირებში. მართალია, ქართველებს აქამდეც უთამაშიათ ევროპაში, თუმცა ეს მხოლოდ ნაკრების დონეზე ხდებოდა. საკლუბო ტურნირებში დებიუტი წარუმატებელი გამოდგა.

წლევანდელ ტურნირებში სამი ქართული გუნდი ჩაება. ვაჟთა გუნდები „უნივერსიტეტი" და „კავკასიის ბიზნესის სკოლა". ასევე ქალთა გუნდი — საქართველოს ჩემპიონი, დიდი ჯიხაიშის „კოლეჯი". უფრო მეტს მოელოდნენ დიდი ჯიხაიშის გუნდისგან, რომელიც უკვე 25 წელია არსებობს. „კოლეჯს" ნუგზარ მიქაძე ხელმძღვანელობს. პირველი მატჩი მისმა შეგირდებმა ჩაატარეს სარაევოს გუნდთან და დამარცხდნენ. მიქაძის თქმით, ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა ნაკლოვანებები „კოლეჯის" თამაშში და მომავალში მის აღმოფხვრაზე იმუშავებს. მისი აზრით, დიდ გამარჯვებებს სწორედ მარცხით სწავლობენ.



აქვე გეტყვით, რომ ნუგზარ მიქაძე ამავდროულად თავკაცობს საქართველოს ქალთა ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელსაც სერიოზული ტურნირები ელის.

მომავალი წლის მაისში დიდ ჯიხაიშში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძელთა გუნდების გარდა ისპარეზებენ აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანისა და რუსეთის გუნდები. მიქაძის თქმით, ამ ღონისძიებაში დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას (პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი) და „კავკასიის ბიზნესის სკოლის" რექტორი კახა შენგელია, რომელიც, სხვათა შორის, წარმოშობით დიდი ჯიხაიშიდანაა.

**ახალი თაობის ფეხბურთელები**

## „ლომა" ახლო პლანით...



**გიორგი ლომაია — საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის" მეკარე. დაიბადა 1979 წლის 8 აგვისტოს, თბილისში. ფეხბურთს 7 წლის ასაკიდან თამაშობს. დაამთავრა თსუ, ეკონომიური ფაკულტეტი. არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომტივთან" ერთად, მანამდე ჩემპიონი გახდა თბილისის „დინამოში". უცოლოა, ჰყავს მშობლები, ძმა.**

● ***ყოველი სპორტსმენის სპორტული ბიოგრაფია სხვადასხვანაირად იწყება, თქვენი როგორი დაიწყო?***

— ჩვეულებრივად, სკოლის პერიოდში, როგორც ყველა ბავშვი, უბანში ფეხბურთს ვთამაშობდით. გია მაისურაძე, რომელიც შემდეგში ჩემი პირველი მწვრთნელი იყო, უბნებში დადიოდა, ბიჭებს არჩევდა და მიჰყავდა სექციაში სავარჯიშოდ. პირადად მე ერთ-ერთი ფეხბურთელის მშობელმა მიმიყვანა გიასთან, სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი საფეხბურთო ბიოგრაფია.

● ***პირველი წარმატება როდის მოვიდა?***

— იყო ასეთი გუნდი — „მთვარის გლობუსი", რომლის შემადგენლობაშიც გავხდი თბილისის და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. გავედით ევროპულ ასპარეზზეც. კერძოდ, უნგრეთში გამართულ ტურნირში, იუგოსლავიელებს მოვუგეთ 7-1. გუნდს გია მაისურაძე წვრთნიდა.

● ***თავიდანვე მეკარედ დაიწყე თამაში?***

— დიახ.

● ***სხვა ამპლუაში რომ არ თამაშობ, გული ხომ არ გწყდება?***

— არა, მეკარე ვიყავი, ვარ და ვიქნები. სხვა პოზიციები არც კი მაინტერესებს.

● ***სპორტსმენებს, ცხადია, ფეხბურთელებსაც, აქვთ ხოლმე ჩავარდნები, მიზეზები კი სხვადასხვა. თუ განგიცდიათ ასეთი რამ?***

— იყო ერთი შემთხვევა, კერძოდ, ბოტკინის დაავადების გამო დროებით ჩამოვშორდი ფეხბურთს.

● ***ოჯახი ხომ არ შეეწინააღმდეგა შენს სპორტულ არჩევანს?***

— არა, ხმა არავის ამოუღია... მეტიც, ჩემი ძმაც ფეხბურთელია, „ვიტ ჯორჯია — 2"-ში თამაშობს.

● ***რომელიმე კლუბიდან თუ გქონიათ მიწვევა?***

— ადრე იყო მცდელობა. კერძოდ, თბილისის „დინამოს" სურდა ჩემი შეძენა, მაგრამ მოხდა ისე, რომ დავით გვარამაძე აიყვანეს. თუმცა, „ლოკომოტივი" ჩემი გაშვების წინააღმდეგი იყო. უცხოური კლუბებიდან მოსკოვის „დინამომ" გამოთქვა სურვილი ჩემს შეძენაზე, მაგრამ მე აღარ მოვისურვე, ისევ თბილისში დავბრუნდი.

● ***რა პროფესიას ეუფლებით?***

— უკვე დავეუფლე, ეკონომისტი ვარ, თსუ დავამთავრე.

● ***გამოდის რომ პროფესიით მუშაობას ისევ ფეხბურთი ამჯობინე, რა ადგილი უკავია ფეხბურთს შენს ცხოვრებაში?***

— თუ ადგილზეა ლაპარაკი, გეტყვით — პირველი, ჯერჯერობით მაინც ფეხბურთი ძალიან მიყვარს.

● ***ადრე თუ გვიან დადგება ფეხბურთიდან წასვლის დრო, რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?***

— ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ. ალბათ ხუთი წლის შემდეგ მექნება პასუხი მაგ შეკითხვაზე.

● ***როგორ ფიქრობ, საქართველოს რომელიმე გუნდი მიიღებს თუ არა მონაწილეობას ჩემპიონთა ლიგაში?***

— ძნელია მაგაზე ფიქრი, ოცნებაც, განსაკუთრებით უახლოეს წლებში. მერე ვნახოთ. ალბათ მოახერხებს რომელიმე გუნდი „გაჭრას ფანჯარა ევროპაში".

● ***იმ ჯგუფის მიხედვით, სადაც ჩვენი ნაკრები მოხვდა, გვაქვს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან გასვლის შანსი?***

— მთავარია, მონდომება. შანსი კი ნამდვილად არის და თუ შემეკითხები პირადად მე, რას გავაკეთებ, გიპასუხებ: გავაკეთებ ყველაფერს რასაც შევძლებ.

● ***ნაკრებში ყველა ასე ფიქრობს?***

— არც მეეჭვება.

● ***ახლა ცხოვრებისეულ საკითხებზე ვისაუბროთ. როგორი ბიჭია გიო ლომაია, სპორტული სარბიელის მიღმა?***

— ჩვეულებრივი, ახლობლებისა და მეგობრების მოყვარული, ოდნავ მეტად მგრძნობიარე, ხალისიანი, უყვარს იუმორი.

● ***კარგი რამე მითხარი, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, ის მართლაც გამორჩეული პიროვნებაა. ახლა მინდა გკითხოთ: განეკუთვნებით თუ არა იმ გათამამებულ სპორტსმენთა კატეგორიას, რომელიც არაფრად დაგიდევთ საგზაო წესების დაცვას. როცა სიჩქარეს აჭარბებ თუ ფიქრობ, რომ შეიძლება სხვაც დააზარალო?***

— დიდი სიჩქარით არ მიყვარს სიარული, რადგან არასასურველი შემთხვევისაგან არავინაა დაზღვეული. ჩემი აზრით, სჯობს იარო ნელა და პრობლემებიც ნაკლები გექნება, თვით ავტოინსპექტორებთანაც კი.

● ***მომწონს თქვენი პასუხი. ახლა ეს მითხარი თუ გსიამოვნებს, როცა ქუჩაში გცნობენ?***

— განა არსებობს ადამიანი, ვისაც ყურადღება არ სიამოვნებს? არ ვარ გამონაკლისი და რა ვქნა...

● ***ამბობენ, ზოგჯერ ადამიანს ისეთი კურიოზი შეიძლება გადახდეს, საქვეყნოდ გაითქვას სახელით. შენზე ასეთი რამ ჯერ არ გვსმენია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კურიოზი საერთოდ არ გადაგხდენია...***

— მაშინ მოკლედ და კონკრეტულად გიპასუხებ — მთელი ჩემი ცხოვრება კურიოზია.

● ***იუმორის გრძნობას მიდასტურებ?***

— ???

● ***თავისუფალი დრო ის განძია, რომელსაც გონივრულად მოხმარება უნდა, თუ ამ აზრს იზიარებ, მაშინ დამისახელე ის არეალი, სადაც მისი რეალიზება ხდება...***

— ძალიან ბევრი მეგობრები მყავს, თავისუფალ დროს მათთან ერთად ყოფნას დიდ ბედნიერებად ვთვლი. თუ დრო საკმაოდ გვაქვს, რესტორანში მივდივართ, ცხადია, ოჯახსაც ვუნაწილებ დროის ბიუჯეტს...

● ***მარტო დროისას?***

— გინდათ გითხრათ, რომ ფინანსურსაც? რა თქმა უნდა, ფინანსურსაც, მაგრამ თუ რამდენს, ამას ეუღარ მკითხავთ,

● ***მითხარი, რა დამოკიდებულება გაქვს აზარტულ თამაშებთან და გეტყვი ვინა ხარ...***

— ჯოკერი ძალიან მიყვარს, მაგრამ აზარტული ნამდვილად არ ვარ, მითხარი ახლა ვინ ვარ...

● ***ძალიან ნორმალური ბიჭი...***

— მადლობთ, ზუსტად გამოიცანი.

● ***„შევიდეთ" ინტერნაციონალურ სამზარეულოში, სადაც კერძების სიუხვეა, რომელს დაადებდი ხელს?***

— ჩვენი ქვეყნის კერძებს არაფერი სჯობს იმ სამზარეულოში, სადაც შემიძეხი, ქართულს დავადებდი ხელს, მერე ნელ-ნელა მივყვებოდი დავაგემოვნებდი, რაც მიყვარს...

● ***ახლა დროა გოგონებზე გკითხო, მეგობარი გოგონა თუ გყავს?***

— მეგობარი გოგონები ძალიან ბევრი მყავს, რაც შეეხება „გერლფრენდს", ჯერჯერობით არ ჩანს...

● ***ადრე თუ გვიან გამოჩნდება ის „გერლ-ფრენდი", აი შვილიც გყავს, — ვაჟი, წაიყვან ფეხბურთზე?***

— თუ მოინდომებს ფეხბურთელობას, ნამდვილად არ დავუშლი, მაგრამ ყველანაირად შევეცდები, რომ მეკარე არ გამოვიდეს.

● ***რატომ?***

— მეკარე ვარ და ვიცი, რა სიმწარე შეიძლება შეხვდეს, — ყველა ჯოხი ხომ მეკარეზე ტყდება.

● ***სხვებსაც ვეკითხები და შენი აზრი მაინტერესებს: უგდებ თუ არა ყურს სხვების დარიგებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენს წინაშე დგას ადამიანი, რომელსაც ფეხბურთში არაფერი გაეგება?***

— თუ ადამიანი რჩევას მოგცემს შენს სასიკეთოდ და დაგარიგებს, რატომ არ უნდა მოუსმინო. სხვა, რომ არაფერი, ზრდილობის საკითხია.

● ***თქვენს გვერდით თუ არიან უზრდელები...***

— ისინი ყველგან არიან, მაგრამ მე ვერავის განვსჯი, ყველას თავისი აღზრდა და შეგნება აქვს.

● ***უსტიმულოდ ცხოვრება ალბათ, მართლაც არარაობაა, რა აღძრავს თქვენში ამ გრძნობას?***

— ოჯახი, მეგობრები, კარგად თამაშზე ფიქრი და ამ ფიქრის რეალიზება.

● ***რას უსურვებ ქართულ ფეხბურთს და მომავალ თაობას?***

— როგორც ყველა ფეხბურთელი, მეც საქართველოს ნაკრებს ვუსურვებ ჯერ ევროპის, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას. ისევ წარმატებას ვუსურვებ საქართველოს ყველა გუნდს. მოზარდებს კი ერთ რჩევას მივცემ: ბევრი იშრომონ და ყველაფერი კარგად იქნება...

ესაუბრა
**ლელა ჯანკოტაძე.**

## ლელო მატიანე 50 წლის წინათ

„ლელოს" წინა ნომერში რუბრიკით „ლელო – მატიანე" გამოვაქვეყნეთ ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილია საქართველოს სამბისტთა ნაკრები დონის როსტოვში 1952 წელს, როცა იქ ჩვენებმა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მოიგეს. მკითხველს და სპეციალისტებს ვთხოვდით ამოეცნოთ თუ ვინ იყვნენ აღბეჭდილნი ნახევარი საუკუნის წინათ გადაღებულ ფოტოზე.

დაუყოვნებლივ შეგვეხმიანა სამბოს ფედერაციის გენერალური მდივანი თენგიზ არაბული, რომელმაც სურათზე ყველა პიროვნება ამოიცნო. აი, ისინიც: მარცხნიდან – შალვა ნოზაძე (მწვრთნელი), ოთარ სინჯიკაშვილი (მძიმე), გიორგი როსტიაშვილი (87 კგ), დავით ჩაჩანიძე (79), ვახტანგ ბალავაძე (72), ქრისტეფორე ნინიაშვილი (68), აკაკი ნინიაშვილი (64), ზურაბ დენტოშვილი (60), ლავრენტი კაციაშვილი (56).

დავძენთ, რომ ჩვენს ნაკრებს ქვეჯგუფში დაუმარცხებია ლატვიის, რუსეთისა და ბელარუსის გუნდები, ფინალურ ეტაპზე კი ერთნაირი ანგარიშით 5:3 მოუგია მოსკოველებისა და ლენინგრადელებისთვის, უკრაინის ნაკრებს კი ჩვენებთან 0:5 წაუგია.





# სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

## კომპრომისების დღე კოლეგიაში

„მეტი კომპრომისი აღარ იქნება", „კოჭლი ჩემპიონატი არ გვჭირდება". ასეთი მკვეთრი განცხადებები ისმოდა გუშინწინდელ დისციპლინართა სხდომაზე. მიზეზი ქართული ფეხბურთისთვის სამწუხარო და თითქმის, ბანალურად ქცეული კლუბების უსახსრობა, უსპონსორობა და ფეხბურთელთა გაფიცვებია, რომლის დროსაც მოთამაშეები კლუბების მესვეურთ კუთვნილ ხელფასებს სთხოვენ. ასე იყო "მერანის" ასეა, ზესტაფონის „მეტალურგის" შემთხვევაში. მეტალურგები ქუთაისში სათამაშოდ არ ჩავიდნენ. გუნდი მოხსნას იმსახურებდა, მაგრამ სადისციპლინო კოლეგია ამჯერადაც კომპრომისზე წავიდა და ზესტაფონელებს პირობითი სასჯელი გამოუტანა. გუნდი ლიგაში დატოვა, თუმცა ქუთაისში თამაშზე გამოუცხადებლობა წაგებად 0-3 ჩაუთვალა. „ეს ბოლო შემთხვევაა, ჩვენ არც ერთ კლუბს, ამიერიდან, შეღავათს აღარ გავუწევთ", კატეგორიულად განაცხადეს კოლეგიის წევრებმა და თან დააყოლეს — „მიხედეთ კლუბებსო". ასეთი კომპრომისის ნარევი გაცხარება მარტო „მეტალურგის" საკითხის განხილვას არ გამოუწვევია, მანამდე გორელთა „ვარძიასთან" მატჩზე ჩაუსვლელობაც განიხილეს და „დილა-2"-ის მატჩზე დაგვიანების მიზეზის გაცნობის შემდეგ ქართლელებსაც პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს, ხოლო კონკრეტულ მატჩში ტექნიკური წაგება 0-3 ჩაუთვალეს.

ისევ „მეტალურგს" დავუბრუნდეთ. ზესტაფონის რაიონის გამგებლის კვეტენაძის, სპორტკომიტეტის თავმჯდომარის საყვარელიძის განმარტებით, გუნდი უპატრონოდ არ იქნება. მწვრთნელ ჩუბინიძის წერილით კი გაირკვა, რომ კლუბის საერთო კრებაზე ფეხბურთელებმა გამოაცხადეს — გუნდი ჩემპიონატს ჩაამთავრებს. გარანტიებს შესრულება უნდა, იმედია, ასეც იქნება. ინდივიდუალურ სასჯელებს რაც შეეხება: სიონი — მილანის მატჩში ორი ყვითელი ბარათის მიღების გამო გაძევებული წნორელი მეტონიძე ერთ თამაშს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის. რეგიონული ლიგის „ოლიმპის" ფეხბურთელი მათეშარია მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის სამი თამაშითაა დისკვალიფიცირებული. „ალაზანი — მერანის" მოთამაშე თემურ თათელიშვილს კი მსაჯის, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა, მერე კი შეფურთხება უფრო ძვირი დაუჯდა — ოთხი თამაშით დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა.

# გამოხმაურება „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების" პროექტზე

**რედაქციაში გულდასმით გავეცანით სფფ-ს წესდების პროექტთან დაკავშირებით შემოსულ წერილებს. თავს არ შეგაწყენთ, გადავალთ პირდაპირ შენიშვნებზე.**

1) ზოგადი დებულებების პირველ მუხლში წერია: „ვაკე-საბურთალოს რაიონის სამოქალაქო სასამართლო"; მე-3 მუხლში „ვაკე-საბურთალოს საოლქო სასამართლო..."

2) არა გვგონია, მთლად სწორი იყოს მე-5 მუხლში ჩაწერილი: „სფფ-ს ექვემდებარებიან..." იქნებ არასწორადაა ეს ტერმინი გადმოთარგმნილი, ისე, როგორც მე-2 მუხლში „პატიოსანი თამაში". ჩვენ გვგვიგია, რომ უნდა იყოს „სამართლიანი თამაში". თუ გასწორდება, ეს ტერმინი სხვაგანაც გვხვდება ტექსტში.

3) იგივე მე-5 მუხლში წერია: „მცხეთა-თიანეთის ფეხბურთის ფედერაცია" (იხ. აგრეთვე 22-ე მუხლი). რა შუაშია მცხეთა-თიანეთი? ადმინისტრაციულად ეს არის „მცხეთა-მთიანეთი". იქვე, ქვემოთ, ალბათ აჯობებს იყოს „მსაჯთა ასოციაცია" და არა „სამსაჯო ასოციაცია", როგორც პროექტშია.

4) 22-ე მუხლში ვკითხულობთ: „საქართველოს ფეხბურთელ ვეტერანთა კავშირი". შეუსაბამო სიტყვათწყობაა. ალბათ აჯობებს: „საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი".

5) 24-ე მუხლში ჩაწერილია, რომ „რიგითი ყრილობა მოიწვევა... როგორც წესი — თბილისში". პროექტში არსად ჩანს, რომ ასეთი წესი კანონდება, ან რატომ უნდა დაკანონდეს? რატომ არ შეიძლება რიგითი ყრილობა სფფ-მ ერთხელ მაინც ჩაატაროს ქვეყნის სხვა რეგიონში? მით უფრო, რომ არ არის გამორიცხული, რაიმე ხელშემშლელმა მიზეზმაც იჩინოს თავი თბილისში, რა, ჩაიშალოს ყრილობა?

6) 28-ე მუხლი. „1. ყრილობას თავმჯდომარეობს სფფ-ს პრეზიდენტი, მისი არყოფნის ან დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში — თავმჯდომარის პირველი მოადგილე". ჩვენთვის გაუგებარია, ალბათ, სხვებისთვისაც, რას ნიშნავს „თავმჯდომარის პირველი მოადგილე". ე.ი. კრების თავმჯდომარესაც ჰყავს პირველი, მეორე და ა.შ. მოადგილე? თუ სხვა რამეზეა ლაპარაკი?

7) 29-ე მუხლში, თუ არ გასწორდა, შემდგომში შეიძლება დავა გამოიწვიოს სიტყვამ „ამჟამად". აი, რას ვგულისხმობთ: პროექტში, ამ მუხლის მე-3 პუნქტში წერია, რომ „თუ წინამდებარე წესდებით სხვაგვარად არ დადგინდება, გადაწყვეტილებები მიიღება ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად..." რას ნიშნავს ეს? ვთქვათ, გავიდა ოთხი, ექვსი, ათი წელიწადი, როგორ განიმარტოს სიტყვა „ამჟამად" მომავალ წლებში — დღევანდელი ვიფიქროთ თუ ის პერიოდი და კანონები, როცა საჭირო გახდება ამ მუხლის ამოქმედება? გვგონია, არის დაშვებული ამავე მუხლის მე-5 პუნქტში, სადაც წერია: „5. არჩევნების პირველი რაუნდი ტარდება ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით"... შენიშვნა იგივე გვაქვს და ამიტომ აღარ გავიმეორებთ.

8) 30-ე მუხლში უფრო უხერხული აზრია გატარებული, რაც პროექტის სტილისტური დამუშავებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. კერძოდ, მე-2 პუნქტი ეხება აღმასკომის წევრთა დასახელების წესს, სადაც ვკითხულობთ: „დასახელებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და მისი პრეზიდენტი"... „...საქართველოს მოქალაქე და მისი პრეზიდენტი?"...

შენიშვნები შედგენილია რედაქციაში შემოსული წერილების ავტორების მოსაზრებების გაერთიანებით. ეს ავტორები არიან:

**გ. სირაძე, ვ. ჭანტურია, ა. სამხარაძე, ბ. გუჯეჯიანი, ნ. დიასამიძე (ყველა — თბილისი), ა. სარალიძე, კ. წილოსანი (ორივე — რუსთავი), კ. ფურცელაძე, ჯ. ფხაკაძე, ი. ნარსია (სამივე — ქუთაისი), ბ. ცანავა (ზუგდიდი), ე. ყანჩაველი (ზესტაფონი).**

### საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 12 | 2 | 2 | 35-11 | 38 |
| ვიტ.-ჯორჯია | 16 | 12 | 1 | 3 | 28-9 | 37 |
| დინამო (თბ) | 15 | 12 | 1 | 2 | 37-5 | 37 |
| ლოკომოტ. | 15 | 11 | 1 | 3 | 27-7 | 34 |
| სიონი | 16 | 8 | 2 | 6 | 23-20 | 26 |
| კოლხ. 1913 | 16 | 7 | 2 | 7 | 19-25 | 23 |
| მეტალურგი | 16 | 5 | 1 | 10 | 10-32 | 16 |
| მერანი 91 | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| დილა | 16 | 3 | 3 | 10 | 9-23 | 12 |
| მილანი | 16 | 3 | 3 | 10 | 8-26 | 12 |
| დინამო (ბთ) | 16 | 2 | 5 | 9 | 11-23 | 11 |
| გორდა | 16 | 3 | 0 | 13 | 12-30 | 9 |

## პირველი ლიგა

გურია — ალაზანი-მერანი 5-2
ლაზიკა — ქობულეთი 4-1
ლოკო — მერცხალი 0-3
თსუ — დინამო 2 0-1
ჭაბუკთა ნაკრები — მცხეთა 2-1
ცხინვალი — ლოკომოტივი 2 2-2
ლოკომოტივი (სამტრ) — კოლხეთი (ხ) 0-2
სამგურალი — ივერია 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 12 | 8 | 3 | 1 | 19-5 | 27 |
| ლაზიკა | 12 | 7 | 4 | 1 | 25-14 | 25 |
| ცხინვალი | 12 | 7 | 3 | 2 | 22-11 | 24 |
| ივერია | 12 | 6 | 3 | 3 | 17-14 | 21 |
| სამგურალი | 12 | 5 | 5 | 2 | 22-11 | 20 |
| ჭაბ. ნაკ. | 12 | 5 | 3 | 4 | 19-13 | 18 |
| დინა.2 (თბ) | 12 | 5 | 2 | 5 | 16-13 | 17 |
| მცხეთა | 12 | 4 | 4 | 4 | 17-13 | 16 |
| თსუ | 12 | 4 | 3 | 5 | 8-10 | 15 |
| გურია | 12 | 4 | 3 | 5 | 11-14 | 15 |
| ლოკო | 11 | 4 | 2 | 5 | 10-15 | 14 |
| ლოკომოტ.2 | 11 | 3 | 5 | 3 | 11-9 | 14 |
| ქობულეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 7-15 | 13 |
| ლოკომ.(სამტ) | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| კოლხ. (ხ) | 12 | 1 | 3 | 8 | 7-19 | 6 |
| ალაზ-მერ. | 12 | 0 | 4 | 8 | 8-29 | 4 |

# თარიღი, რომელიც მუდამ გვემახსოვრება

**თბილისის „დინამოს" ისტორიაში წარმატებათა მწვერვალად და ყველაზე ღირსსახსოვარ თარიღად 1981 წლის 13 მაისი ითვლება, როცა ქართველმა ფეხბურთელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრეს. ეს იყო ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი ტრიუმფი, თუმცა სტაჟიანი გულშემატკივრებისათვის „დიუსელდორფის" სიხარულამდე იყო 1964 წლის 18 ნოემბერი, ტაშკენტი, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს თბილისის დინამოელებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.**

1936 წლიდან მოყოლებული თბილისის „დინამო" საბჭოთა ფეხბურთის ლიდერთა შორის ირიცხებოდა, თუმცა 1964 წლამდე ოქროს მედლების მოპოვება ვერ მოახერხა. ბევრჯერ ყოფილა ახლოს მიზანთან, მაგრამ ბოლო მომენტში ხელი შეშლიათ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პრინციპულ მატჩებში რუსული გუნდები, ცხადია, მსაჯთა შემწეობით, ძალით ართმევდნენ გამარჯვებას დინამოელებს. აქედან გამომდინარე, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი თბილისის „დინამოს" გამარჯვებას ფსიქოლოგიურად აღიქვამდა, როგორც საქართველოს, ქართული ფეხბურთის, ქართული გენის, ქართველების გამარჯვებას. დიახ, თბილისის „დინამო" საქართველოს პირველი გუნდი იყო და ის აერთიანებდა ქართველ გულშემატკივრებს, ჩვენ მაშინ ხომ ყველა „დინამოელები" ვიყავით.

1964 წელს თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ ქართული ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი... გუნდს წვრთნიდა დიდებული სპეციალისტი გავრილ კაჩალინი, რომელმაც გასაღები ჩინებულად „მოარგო" ქართულ საფეხბურთო გენს.

1964 წლის სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე, დინამოელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს, მოსკოვის „ტორპედოსთან" ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში, უძლიერესის გამოსავლენად საჭირო გახდა ამ ორ გუნდს შორის დამატებითი მატჩის ჩატარება ტაშკენტში.

მატჩმა, ცხადია, უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტაშკენტში მაშინდელი საბჭოეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩავიდნენ გულშემატკივრები, რაღა თქმა უნდა, მათ შორის საქართველოდანაც ძალზე ბევრნი იყვნენ. ისიც გვსმენია, რომ ერთ-ერთმა ქართველმა გულშემატკივარმა, უზბეკეთში გასამგზავრებელი ბილეთი რომ ვერ იშოვა, იმდენი მოახერხა, თბილისი - ტაშკენტის რეისის თვითმფრინავის საბარგო ნაწილში ამოჰყო თავი... ასეთი იყო მაშინდელ გულშემატკივართა დამოკიდებულება საყვარელი გუნდისადმი, რომელიც მერე და მერე სადღაც „გაქრა"...

ტაშკენტის "ოქროს მატჩი" მაშინდელი ჩემპიონატის დიდებული აკორდი გამოდგა. თამაში დაიწყო მაღალი ტემპით, სტიქიური შეტევებით. ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები, თუმცა 55-ე წუთამდე გოლი არ გასულა.

სწორედ 55-ე წუთზე ტორპედოელმა შჩერბაკოვმა გახსნა ანგარიში. გოლის გაშვების მიუხედავად, დინამოელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. პირიქით, უფრო ორგანიზებულად ათამაშდნენ.

ანგარიში 71-ე წუთზე გათანაბრდა იმის წყალობით, რომ ქართველებს ჰყავდათ იშვიათი თვისების ფეხბურთელი, რომელსაც გოლები კუთხურის ალმიდან დარტყმით გაჰქონდა. ეს იყო ილია დათუნაშვილი.

„მეორე ტაიმში გოლი რომ გავუშვით, იმ წუთიდან განუწყვეტლივ ვუტევდით. ტორპედოელები რაღაც უწესრიგოდ იგერიებდნენ ჩვენს იერიშებს. ერთ წუთში სამჯერ დავარტყი კუთხური. პირველი ორი - ახლო კუთხისკენ, მაგრამ მცველებმა ორივეჯერ ბურთი პირდაპირ კარის ხაზიდან გამოიტანეს. მესამედ შორეულ კუთხეში დავუმიზნე. ამან დააბნია მოსკოველთა გუნდის მეკარე და მცველები. ისინი ისევ ძველ ადგილზე „გამაგრდნენ", ბურთმა კი ყველას გვერდი აუარა და კარში ჩაეშვა", - იხსენებს ილია დათუნაშვილი („ლელო", 1984 წ. 15 ნოემბერი).



ასე გავიდა დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული პირველი გოლი მოსკოველთა კარში...

ამ გოლმა თბილისელებს წარმატების ღრმა რწმენა შთაუნერგა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ (1-1) დასრულდა. დამატებით დროში კი თამაში უკვე დინამოელთა კარნახით მიდიოდა.

მთელი ელვარებით გაიბრწყინა მიხეილ მესხმა. სწორედ მისი გადაცემის შემდეგ დათუნაშვილმა მეორედ დალაშქრა „ტორპედოს" კარი, ცოტა ხანში კი თავად მიხეილ მესხმა გაიტანა გოლი. მოსკოველები ანერვიულდნენ და ესეც ძვირად დაუჯდათ. თამაშის წესი დაარღვიეს თავიანთ საჯარიმოში ვლადიმერ ბარქაიას წინააღმდეგ, მატჩის არბიტრმა მ. რუბენისმა

(იხ. მე-4 გვ.)

# თარიღი, რომელიც მუდამ გვემახსოვრება

*(მესამე გვერდიდან)*

დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც უზადოდ შეასრულა სლავა მეტრეველმა და ამით წერტილი დაუსვა მატჩს – 4-1.

თბილისის „დინამოს" ამ გამარჯვებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა და არა მხოლოდ საქართველოში. აი, რას წერდა ჟურნალისტი მ. მერჟანოვი გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" 1964 წლის 20 ნოემბერს.

„ჩემპიონები მტკვრის ნაპირებიდან! თბილისელები! მრავალი წლების განმავლობაში ისინი იპყრობდნენ ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღებას თავიანთი ტემპერამენტიანი, ლამაზი თამაშითა და ლამაზი კომბინაციებით. წლების განმავლობაში თაობები იცვლებოდა, მაგრამ თამაშის ასეთი მანერა მუდამ უცვლელი რჩებოდა, როცა დინამოელთა თამაშს ვუყურებ, თითოეულ მათგანში მე ვხედავ სტილს იმ დიდი ფეხბურთელებისა, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა. თამაშის ეს სტილი ქართველებს სისხლში აქვთ გამჯდარი.

და კიდევ დინამოელები მუდამ შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ, რაც უფრო ალამაზებს სპორტის ამ სახეობას. მე ვნახე სკოლებში ბავშვების თამაში, არც

წლისთავზე: „ქართველები ნიჭიერი ხალხი ხართ. ამაში თბილისის დინამოელებთან მუშაობის დროს დავრწმუნდი, როგორც ჭაბუკთა, ისე მოზრდილთა გუნდებში იმდენი ნიჭიერი მოთამაშე ვნახე, განცვიფრებული ვარ. ქართველი ფეხბურთელები მუდამ პირველთა შორის იქნებიან, თუ ბუნებისგან ასე უხვად ნაბოძებ ნიჭს მოუარეს და სწორად გამოიყენეს." („ლელო", 1984 წ. 18 ნოემბერი)...

მას შემდეგ 38 წელიწადი გავიდა... იყო საბჭოთა კავშირის თასი, ისევ ჩემპიონატის ოქროს მედლები, იყო 70-იან წლებში მბრწყინავი ალექსანდრე ჩივაძის, ვიტალი დარასელიას, დავით ყიფიანის, ვლადიმერ გუცაევის, რამაზ შენგელიას თბილისის „დინამო", იყო „ლივერპული", იყო „ვესტ ჰემი", იყო „დიუსელდორფი"... მაგრამ 18 ნოემბერს დავიწყება არასდროს მისცემია, რადგან 38 წლის წინანდელი გამარჯვება თბილისი „დინამოს" დიდი ეპოქის ოქროს ფურცელი იყო.

ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები, ქართული ფეხბურთის დღევანდელი უბადრუკობის შემხედვარე, ტკბილი მოგონებებით ცხოვრობენ. ვერც გაამტყუნებთ. ახლა ძველი გულშემატკივრები სხედან სადმე პარკში და ისევ 18 ნოემბერს იხსენებენ, რომელიც, რაც



*„კარგი ფეხი მაქვს, მომყევით" – თქვა ჯემალ ზეინკლიშვილმა და „ბრძოლის ველზე" გაუძღვა თბილისის „დინამოს"...*

ერთ მათგანს არ სურდა მცველად ყოფნა. მე ვნახე ძველი თბილისის ეზოებში ბავშვების თამაში, ყველა მათგანს თერთმეტ ნომრიანი მაისური ეცვა – ეს ხომ მიხეილ მესხის ნომერი იყო...

არ მინდა წინ გავუსწრო მოვლენებს, მაგრამ მჯერა, რომ თბილისის „დინამოს" უფრო დიდი გამარჯვებები ელის".

მთავარ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს თბილისის „დინამოში" გატარებული დროის სიტკბო სიცოცხლის ბოლო წლებამდე გაჰყვა. აკი თქვა კიდეც გამარჯვების 20

წლები გადის, უფრო შორეულ ტკბილ ზღაპრად გვეჩვენება. დღევანდელი „კომპიუტერისა" და „ტოტალიზატორის" თაობას კი „დინამოს" ძველი დიდება არ უნახავს და, ცხადია, 18 ნოემბრის მნიშვნელობაც არ იციან. ხომ არ აჯობებდა ეს დღე ქართული ფეხბურთის დღედ გველიარებინა, თუ ეს მოხერხდება, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 18 ნოემბერი ქართული ფეხბურთის მარადიული ზეიმის დღედ დარჩება.

თენგიზ ჩობანიძე



18 ნოემბერი იყო ქართველების დიდი ზეიმი, რომელსაც თითქმის სამი ათეული წელიწადი ელოდნენ. არ შეიძლება დავივიწყოთ ის ადამიანები, რომლებმაც ასეთი სიხარული აჩუქეს ქართველ გულშემატკივრებს.

სურათზე: გუნდის მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი, მწვრთნელი ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ვახტანგ რეხვიაშვილი. გურამ ცხოვრებოვი, ბორის სიჭინავა, მიხეილ მესხი, მწვრთნელი ალიოშა კოტრიკაძე (დგანან). ალექსანდრე აფშევი, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, სლავა მეტრეველი, ილია დათუნაშვილი (წინა რიგში).



*მატჩის ერთ-ერთი მომენტი: მარცხნიდან – ბარქაია, დათუნაშვილი, მეტრეველი*

# 33 საუკეთესოთა შორის...

## ეს ჩვენი საფეხბურთო ისტორიაა

ვაგრძელებთ პუბლიკაციას თუ როგორ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა წლებში, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები.



**1945 წელი.** თბილისის „დინამო" მოსკოვში გამართული ერთ-ერთი მატჩის წინ (მარჯვენიდან მარცხნივ): ბ. პაიჭაძე, ს. შუდრა, ბ. ფროლოვი, მ. ბერძენიშვილი, ლ. სალდაძე, ა. კიკნაძე, ა. ღოღობერიძე, ვ. ბერეჟნოი, ვ. პანიუკოვი, გ. გაგუა, გ. ჯეჯელავა. *(ფოტო „ლელოს" არქივიდან)*

### 1939 წელი

***ცენტრალური მცველები:*** 1. ვიქტორ სოკოლოვი („სპარტაკი", მოსკოვი), 2. კონსტანტინე ლიასკოვსკი („ცდკა", მოსკოვი), 3. **შოთა შავგულიძე („დინამო", თბილისი)**; ***მარცხენა მცველები:*** 1. ვასილ სოკოლოვი („სპარტაკი", მოსკოვი), 2. **ვლადიმერ ჯორბენაძე** („დინამო", თბილისი), 3. ალექსანდრე ბაზოვოი („ცდკა", მოსკოვი); ***მარჯვენა გარემარბეში:*** 1. **გაიოზ ჯეჯელავა** („დინამო", თბილისი), 2. მიხეილ სემიჩასტნი („დინამო", მოსკოვი), 3. გრიგოლ ბალაბა („სტახანოვეცი", სტალინო); ***ცენტრალური თავდამსხმელები:*** 1. **ბორის პაიჭაძე** („დინამო", თბილისი), 2. ალექსანდრე პონომარიოვი („ტრაქტორი", სტალინგრადი), 3. ვიქტორ სემენოვი (სპარტაკი", მოსკოვი);

### 1940 წელი

***ცენტრალური მცველები:*** 1. ვიქტორ სოკოლოვი („სპარტაკი", მოსკოვი), 2. **შოთა შავგულიძე** („დინამო", თბილისი), 3. ვსევოლოდ რადიკორსკი („დინამო", მოსკოვი); ***ნახევარმცველები:*** 1. **გრიგოლ გაგუა** („დინამო", თბილისი), 2. ნიკოლოზ ილინი („ლოკომოტივი", მოსკოვი), 3. ვლადიმერ ბოდროვი („ზენიტი", ლენინგრადი); ***მარჯვენა გარემარბები:*** 1. **გაიოზ ჯეჯელავა** („დინამო", თბილისი), 2. ალექსი გრინინი („ცდკა", მოსკოვი), 3. მიხეილ სემიჩასტნი („დინამო", მოსკოვი); ***ცენტრალური თავდამსხმელები:*** 1. გრიგორი ფედოტოვი („ცდკა", მოსკოვი), 2. ალექსანდრე პონომარიოვი („ტრაქტორი", სტალინგრადი), 3. **ბორის პაიჭაძე** („დინამო", თბილისი); ***მარცხენა გარემარბები:*** 1. ნიკოლოზ დემენტიევი („დინამო", მოსკოვი), 2. **ვიქტორ ბერეჟნოი** („დინამო", თბილისი), 3. ალექსი სოკოლოვი („სპარტაკი", მოსკოვი).

### 1941 წელი

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, დაიწყო ომი. რა თქმა უნდა, შეწყდა ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. სატურნირო ცხრილი მატჩების შეწყვეტამდე ასე გამოიყურებოდა:

**1. „დინამო" თბილისი — 15 ქულა, 2. „დინამო" მოსკოვი — 15, 3. „დინამო" ლენინგრადი — 14. 4. „ტრაქტორი" სტალინგრადი — 13, 5. „სტახანოვეცი" სტალინო — 12.**

**მაშინ მაინც შეადგინეს 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სია.**

***მარჯვენა გარემარბები:*** 1. გიორგი გლაზკოვი („სპარტაკი", მოსკოვი), 2. მიხეილ სემიჩასტნი („დინამო", მოსკოვი), 3. **გაიოზ ჯეჯელავა** („დინამო", თბილისი); ***მარცხენა შუამარბები:*** 1. ნიკოლოზ დემენტიევი („დინამო", მოსკოვი), 2. **ვიქტორ ბერეჟნოი** („დინამო", თბილისი), 3. ალექსი სოკოლოვი („სპარტაკი", მოსკოვი). ***მარცხენა გარემარბები:*** 1. კონსტანტინე ბესკოვი („დინამო", მოსკოვი), 2. **ასლან ხარბედია** („დინამო", თბილისი), 3. ალექსანდრე გრინინი („ცდკა", მოსკოვი).

### 1945 წელი

1945 წლის 9 მაისს ომში დამარცხებულმა გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. განახლდა ქვეყნის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა, აქედან 6 გუნდი მხოლოდ მოსკოვისა იყო. აი, ისინიც: „დინამო", „ცდკა", „ტორპედო", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „კრილია სოვეტოვი". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ლენინგრადის, სტალინგრადის, თბილისის, კიევის და მინსკის გუნდები.

***მარცხენა ნახევარმცველები:*** 1. ვსევოლოდ ბლინკოვი („დინამო", მოსკოვი), 2. ნიკოლოზ მოროზოვი („ტორპედო", მოსკოვი), 3. **არჩილ კიკნაძე** („დინამო", თბილისი); ***მარჯვენა ნახევარმცველები:*** 1. ალექსანდრე ვინოგრადოვი („ცდკა", მოსკოვი), 2. ლეონიდ სოლოვიოვი („დინამო", მოსკოვი), 3. **გრიგოლ გაგუა** („დინამო", თბილისი); ***ცენტრალური თავდამსხმელები:*** 1. გრიგორი ფედოტოვი („ცდკა", მოსკოვი), 2. კონსტანტინე ბესკოვი („დინამო", მოსკოვი), 3. **ბორის პაიჭაძე** („დინამო", თბილისი); ***მარცხენა შუამარბები:*** 1. ვსევოლოდ ბობროვი („ცდკა", მოსკოვი), 2. ალექსანდრე მალიავკინი („დინამო", მოსკოვი), 3. **ვიქტორ პანიუკოვი** („დინამო", თბილისი).

ქვეყნდება **დურმიშხან ცინცაძის** მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, მისივე რედაქციით.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო" №88

# თქვენთვის, ერუდიტებო!

### მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატები

***1. რა იყო ინგლისში ჩემპიონატის (1966 წ) თილისმა?***

ა) ხუანიტო

ბ) ვილი

გ) ტიპი და ტაპი

***2. რამდენი გუნდი მონაწილეობდა ესპანეთში 1982 წელს გამართულ ჩემპიონატში?***

ა) 16 გუნდი

ბ) 28 გუნდი

გ) 24 გუნდი

***3. ვინ იყო არგენტინელთა მეტოქე ფინალში 1978 წლის ჩემპიონატში?***

ა) ჰოლანდია

ბ) ბრაზილია

გ) იტალია

***4. 1978 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბოლო წუთზე ვინ ვერ გამოიყენა აშკარა საგოლე მომენტი?***

ა) ნეესკენსმა

ბ) კრუიფმა

გ) რეხსენბრინკმა

***5. რამდენი ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობდა 1982 წლის ჩემპიონატში?***

ა) 2 ფეხბურთელი

ბ) 3 ფეხბურთელი

გ) 4 ფეხბურთელი.

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-გ.

# აბა, ვის დაავიწყდება...

18 ნოემბერი კიდევ ერთი თარიღია, — წლეულს ამ დღეს, დავით ყიფიანი 51 წლისა გახდებოდა. დავით ყიფიანი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ლეგენდად შევიდა. ის იყო თბილისის „დინამოს" იმ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი, რომლებმაც 70-იან წლებში ტრიუმფალური აღმასვლა განახორციელეს, დაწყებული საბჭოთა კავშირის თასის 1976 წლის გათამაშების მოგებიდან, „დიუსელდორფით" დამთავრებული.

ყიფიანმა „დინამოსთან" ერთად 1976 და 1979 წლებში საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. 1978 წელს — ჩემპიონატის ოქროს მედლები, 3 წლის შემდეგ კი — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. 1977 წელს ყიფიანი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, 8-ჯერ დაასახელეს საბჭოთა კავშირის „33 საუკეთესოს" შორის.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ყიფიანი სამწვრთნელო საქმიანობას ეწეოდა. სხვადასხვა წლებში თავკაცობდა თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრებს, თუმცა ამ პროფესიით მიღწევებს ისევ მისი ფეხბურთელობის ხანა ჩრდილავს. აბა, ვის დაავიწყდება მისი ვირტუოზული, არტისტული თამაში, ვის დაავიწყდება დიუსელდორფის მატჩის დროს როგორ შეიგდო ბურთი კისერზე, რამაც გულშემატკივრები ფეხზე წამოაყენა და ტაში დააკვრევინა.

ასეთი იყო დავით ყიფიანი...



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვან გაალი „ბარსელონადან“ წასვლით იმუქრება


ვან გაალი

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა განაცხადა, რომ თუ კლუბის პრეზიდენტი ხუან გასპარი მის საქმიანობაში ჩაერევა, თანამდებობას დატოვებს.

როგორც ცნობილი გახდა, ვან გაალის ასეთი აღელვება მეკარე ვიქტორ ვალდესთანაა დაკავშირებული. გასპარმა გოლკიპერს გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაყნება აღუთქვა, რათა არ დაეშვა ვალდესის გადასვლა სხვა კლუბში... ლუი ვან გაალმა კი „ვილიარეალთან“ მატჩში ვალდესი კარში არ დააყნა და ამ უკანასკნელმაც უარი განაცხადა გუნდთან ერთად ვარჯიშზე, რაზედაც დააჯარიმეს კიდეც.

„დაუშვებლად მიმაჩნია, პრეზიდენტმა მსგავსი რამ მოიმოქმედოს, თუკი ვინმე მოისურვებს ჩემს ზურგს უკან რაღაც დაპირებების მიცემას, მე გუნდს დავტოვებ“, — განაცხადა ვან გაალმა.

## კაპელო ნანობს...

**კლუბ „რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო აცხადებს, რომ წუხს, რადგან მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილი ვერ დაიკავა. იტალიელებმა „აეკთან“ ბოლო წუთებზე გაუშვეს დასანანი გოლი და საბოლოო ჯამში ფრეს დასჯერდნენ.**

**„ბერძნებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს ჩვენი გუნდის კარის მიმართულებით და ისიც გოლით დასრულდა. მეორე ეტაპი უფრო რთული იქნება, თუკი ასეთივე მონდომებით ვითამაშეთ, მეოთხედფინალში აუცილებლად გავალთ“ — ამბობს კაპელო.**

## „მილანი“ მზად არის, შევჩენკო ფიგუში გაცვალოს

„მილანის“ ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, ანდრეი შევჩენკო ლუიშ ფიგუზე გაცვალოს. უკრაინელი ფეხბურთელი ბოლო პერიოდში იშვიათად ჩანს გუნდის ძირითად შემადგენლობაში. „იუვენტუსთან“ ამასწინანდელ შეხვედრაში, მან მოედანზე მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყო, „დეპორტივოს“ წინააღმდეგ კი საერთოდ არ უთამაშია.

შევჩენკო 55 მილიონ ევროდაა შეფასებული. სარწმუნო წყაროებით „რეალიც“ სერიოზულად ფიქრობს ამგვარ გაცვლაზე.

## „რეალი“ კონტრაქტის გაფორმებას აპირებს... 10 წლის ინგლისელთან

მადრიდის „რეალმა“ სამკვირიან სტაჟირებაზე მიიწვია 10 წლის ინგლისელი ბიჭუნა — ჯო უელტი. მისმა ნიჭმა ესპანელები გააოცა და ახლა „რეალი“ გრძელვადიანი კოტრაქტის გაფორმებას აპირებს უელტისთან.

## რებროვი ტრანსფერზე არ დააყენეს ● უკრაინელი ფორვარდი უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე...

**ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობამ უარყო ხმები იმის შესახებ, რომ ტრანსფერზე დააყენეს უკრაინელი ფეხბურთელი სერგეი რებროვი.**

**„ჩვენ ასეთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს და არც რაიმე წინადადებები მიგვიღია სხვა გუნდებიდან“ — განაცხადა „ტოტენჰემის“ დირექტორმა დევიდ პლიტმა.**

* **


რებროვი

„ტოტენჰემის“ ფორვარდმა სერგეი რებროვმა უარი განაცხადა უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე, სანამ ახალ კლუბში არ გადავა. ამის შესახებ ფეხბურთელი ესაუბრა უკრაინის ნაკრების ხელმძღვანელობას.

„მე არ ვითამაშებ ნაკრებში მანამ, ვიდრე ახალ გუნდში არ გადავალ. გადავწყვიტე, რომ ვითამაშო ისეთ დონეზე, რომ მალე ჩემი ტრანსფერის დაყნება მოხდეს“ — თქვა რებროვმა. მას დასავლეთ ევროპაში სურს თამაში, თუმცა მას აქვს ერთი ვარიანტიც — დაბრუნდეს კიევის „დინამოში“.




## გასქოინი 20 ფუნტად ბრუნდება

**პოლ გასქოინმა (სურათზე) გადაწყვიტა განაახლოს თავისი სპორტული კარიერა. მალე მისი დებიუტი შედგება ერთ-ერთი დაბალი ლიგის გუნდ „მორპეტის“ შემადგენლობაში. საინტერესოა, რომ თითოეულ მატჩში თამაშის საფასურად, გასქოინი მიიღებს... 20 ფუნტ სტერლინგს.**

## კალაძეზე „ლივერპული“ და „ბაიერნი“ ნადირობენ


კახი კალაძე

ევროპაში სატრანსფერო სეზონის დაწყებამდე თვენახევარია დარჩენილი და „მილანის“ ქართველ ლეგიონერზე უკვე დაიწყს ნადირობა. კახი კალაძის შეძენის სურვილი აქვთ მიუნხენის „ბაიერნს“ და ინგლისურ „ლივერპულს“.

საინტერესოა, რომ გერმანელები კალაძის გადაბირებას ჯერ კიდევ ამ უკანასკნელის კიევის „დინამოში“ ყოფნის დროს ცდილობდნენ. თუმცა საბოლოოდ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ იყოჩაღა.

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე „ლივერპულმა“ მიმართა „მილანს“ ქართველი ლეგიონერის შესყიდვის შესახებ. თუმცა იტალიელებმა ცივი უარი შეუთვალეს. ახლა კი „ლივერპულმა“ და „ბაიერნმა“ ისევ განაახლეს ბრძოლა ქართველი ფეხბურთელისთვის. თავად კალაძის თქმით, ის ამ ეტაპზე „მილანიდან“ წასვლას სულაც არ ფიქრობს.

## დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრაა...

CHAMPIONS LEAGUE


ფეიენოორდი – ნიუკასლი

**დასრულდა ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი, რომელიც აღსავსე იყო მოულოდნელობებით. პირველი მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნის“ კრახი იყო. გერმანელმა ფეხბურთელებმა, პირველად გუნდის ისტორიაში ჩემპიონთა ლიგაში ერთი მატჩის მოგებაც ვერ შეძლეს და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ.**

ასევე არავინ ელოდა იმას, რომ „ლივერპული“ დარჩებოდა მეორე ეტაპის მიღმა. ერთგვარ სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს მოსკოვის „ლოკომოტივის“ წარმატება, რომელმაც ბოლო ორ ტურში „გალათასარაისა“ და „ბრიუგეს“ დამარცხების შედეგად *H ჯგუფში* მეორე ადგილი დაიკავა. წარმატებასთან ახლოს იყვნენ კიევის დინამოელები, რომლებიც შაცკიხის გოლით იგებდნენ „იუვენტუსთან“ მატჩს, მაგრამ ორი უხეში შეცდომა დაუშვეს და ორივეჯერ გოლები მიიღეს საკუთარ კარში. ამასობაში კი „ნიუკასლმა“, რომელმაც უსუსურად დაიწყო ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება, სტუმრად „ფეიენოორდის“ დამარცხებაც შეძლო და მეორე ეტაპის საგზურის მოპოვებაც.

ნამდვილ აღმოჩენად იქცა „ბაზელის“ ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ტოლი არ დაუდო ევროპულ გრანდებს...

დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის კენჭისყრაა. შეგახსენებთ გუნდებს, რომლებსაც ჯგუფებში გაანაწილებენ: „არსენალი“, „დორტმუნდი“, „ვალენსია“, „ბაზელი“, „რეალი“, „რომა“, „ინტერი“, „აიაქსი“, „იუვენტუსი“, „ნიუკასლი“, „მანჩესტერი“, „ლევერკუზენი“, „მილანი“, „დეპორტივო“, „ბარსელონა“, „ლოკომოტივი“.

და ბოლოს, გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შედეგებსა და საბოლოო სატურნირო მდგომარეობას.

### *A ჯგუფი*

**არსენალი — პსვ 0-0**

**ოსერი — დორტმუნდი 1-0**

*გოლი:* 1-0 მვარუვარი (76)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | **6** | **3** | **1** | **2** | **9-4** | **10** |
| **დორტმუნდი** | **6** | **3** | **1** | **2** | **8-7** | **10** |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| პსვ | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |

### *B ჯგუფი*

**ბაზელი — ლივერპული 3-3**

*გოლები:* 1-0 როსი (2), 2-0 ხიმენესი (22), 3-0 ატუბა (29), 3-1 მერფი (61), 3-2 შმიცერი (64), 3-3 ოუენი (85).

**ვალენსია — სპარტაკი 3-0**

*გოლები:* 1-0 ხუან სანჩესი (38), 2-0 ხუან სანჩესი (47), 3-0 აურელიო (79).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალენსია** | **6** | **5** | **1** | **0** | **17-4** | **16** |
| **ბაზელი** | **6** | **2** | **3** | **1** | **12-12** | **9** |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 2 | 12-8 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-18 | 0 |

### *C ჯგუფი*

**რომა — აეკ 1-1**

*გოლები:* 1-0 დელვეკო (40), 1 -1 სენსენიო (91)

**გენკი — რეალი 1-1**

*გოლები:* 0-1 ტოტე (21), სონკი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | **6** | **2** | **3** | **1** | **15-7** | **9** |
| **რომა** | **6** | **2** | **3** | **1** | **3-4** | **9** |
| აეკ | 6 | 0 | 6 | 0 | 7-7 | 6 |
| გენკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2-9 | 4 |

### *D ჯგუფი*

**აიაქსი — ინტერი 1-2**

*გოლები:* 0-1 კრესპო (51), 0-2, კრესპო (53), 1-2 ვან დერ ვაარტი (93).

**რუსენბორგი — ლიონი 1-1**

*გოლები:* 1-0 ბრატბაკი (69), 1-1 გოვე (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინტერი** | **6** | **3** | **2** | **1** | **12-8** | **11** |
| **აიაქსი** | **6** | **2** | **2** | **2** | **6-5** | **8** |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-9 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-12 | 4 |

### *E ჯგუფი*

**დინამო — იუვენტუსი 1-2**

*გოლები:* 1-0 შაცკიხი (50), 1-1 სალასი (53), 1-2 სალეტა (61).

**ფეიენოორდი — ნიუკასლი 2-3**

*გოლები:* 0-1 ბელამი (45), 0-2 ვიანა (49), 1-2 ბომბარდა (65), 2-2 ლურლინგი (71), 2-3 ბელამი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | **6** | **4** | **1** | **1** | **12-3** | **13** |
| **ნიუკასლი** | **6** | **3** | **0** | **3** | **9-8** | **9** |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |

### *F ჯგუფი*

**მანჩესტერი — ლევერკუზენი 2-0**

*გოლები:* 1-0 ვერონი (43), 2-0 ვან ნისტელროოი (69)

**ოლიმპიაკოსი — მაკაბი 3-3**

*გოლები:* 0-1 ბადიერი (9), 0-2 აიეგბენი (10), 2-2 ალექსანდრისი (38), 1-3 კატანი (42), 2-3 ნინოდისი (51), 3-3 ანცასი (7-9).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | **6** | **5** | **0** | **1** | **16-8** | **15** |
| **ლევერკუზ.** | **6** | **3** | **0** | **3** | **9-11** | **9** |
| მაკაბი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-12 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 11-17 | 4 |

### *G ჯგუფი*

**ბაიერნი — ლანსი 3-3**

*გოლები:* 1-0 ნ. კოვაჩი (6), 2-0 სალიჰამიჯიჩი (19), 2-1 ფინკი (20 საკ. კარში), 2-2 ბაკარი (54), 3-2 ფიოლნერი (87), 3-3 ბლანშარი (90).

**მილანი — დეპორტივო 1-2**

*გოლები:* 1-0 ტომასონი (35). 1-1 ტრისტანი (58), 1-2 მაკო (70).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | **6** | **4** | **0** | **2** | **12-7** | **12** |
| **დეპორტივო** | **6** | **4** | **0** | **2** | **11-12** | **12** |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-11 | 8 |
| ბაიერნი | 6 | 0 | 2 | 6 | 9-13 | 2 |

### *H ჯგუფი*

**ლოკომოტივი — ბრიუგე 2-0**

*გოლები:* 1-0 სეზარი (44), 2-0 ლოსკოვი (92)

**ბარსელონა — გალათასარაი 3-1**

*გოლები:* 1-0 დანი (10), 1-1 ჩიჰანი (20), 2-1 ხერარდი (45), 3-1 ჯოვანი (56).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | **6** | **6** | **0** | **0** | **13-4** | **18** |
| **ლოკომოტ.** | **6** | **2** | **1** | **3** | **5-7** | **7** |
| ბრიუგე | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |


მანჩესტერი – ლევერკუზენი

# ნბა

## მელუნი და სტოქტონი მიდიან... ჯორდანი კი მოდის...




ბოლოსდაბოლოს მაიკლ ჯორდანმა ძველი დრო „გაიხსენა“, გააკეთა ის, რასაც გულშემატკივრების ნახევარი თვის განმავლობაში ელოდნენ. „ვაშინგტონისა“ და ვლადიმერ სტეფანიას ყოფილ გუნდს „სიეტლს“ შორის გამართულ მატჩში მაიკლ ჯორდანი საუკეთესო იყო მოედანზე. მან 27 ქულა შესძინა თავის გუნდს, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის. „სიეტლმა“ გაიმარჯვა 101:95.

„სიეტლის“ შემადგენლობაში ყველაზე კარგად ლუისმა ითამაშა, რომლის ანგარიშზეც 37 ქულაა. „იუტა ჯაზმა“ სტუმრად გაიმარჯვა „ნიუ-იორკთან“ – 108:87. 40 წლის ჯონ სტოქტონმა და 39 წლის კარლ მელოუნმა განაცხადეს, რომ ეს იყო მათი ბოლო ვიზიტი ნიუ-იორკში, – სეზონის დასრულებისთანავე, ისინი დიდი კალათბურთიდან წასვლას აპირებენ.

ისევ წააგო ჩემპიონობა „ლეიკერსმა“, ამჯერად საკუთარ მოედანზე „ატლანტასთან“ – 83:95.

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი“ „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ დამარცხდა 82:101. სტეფანიამ მოედანზე 16 წუთი დაჰყო და მხოლოდ ორი ქულა შესძინა გუნდს.

*სხვა მატჩები ასე დასრულდა:* ორლანდო – ტორონტო 109:115, ინდიანა – კლივლენდი 95:75, დეტროიტი – ნიუ ორლეანი – 93:87, ჰიუსტონი – პორტლენდი 86:83.

## ისევ კარპოვი და კასპაროვი!



19-20 დეკემბერს, ნიუ-იორკში გაიმართება მატჩი მსოფლიოს მე-12 და მე-13 ჩემპიონებს — ანატოლ კარპოვსა და გარი კასპაროვს შორის სწრაფ ჭადრაკში.

რეგლამენტის მიხედვით, ორი დღის განმავლობაში ჩატარდება ოთხი პარტია. მოსაფიქრებლად თითოეულ მოჭადრაკეს ეძლევა 25 წუთი თითო სვლაზე 10 წამის დამატებით. მატჩი ჩატარდება ტელეკომპანია „ეი-ბი-სის“ სტუდიაში, რომელიც მანჰეტენის ცენტრში — ტაიმს-სკვერის მოედანზე მდებარეობს.

ორი „დიდი კ“-ს შეხვედრის ორგანიზატორია, კომპანია „ექს– 3 დი უორლდი“, რომელიც ტელეკომუნიკაციების სფეროში საქმიანობს. კარპოვ-კასპაროვის შეხვედრას ერქმევა „ჩემპიონთა მატჩი“. საჰონორარო ფონდის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

## ჯანკარლო მინარდი „ფორმულა 1“-ის ტალანტებს რუსეთში ეძებს

**მოსკოვში სამუშაო ვიზიტით იმყოფება კომპანია „მინარდის“ თანამფლობელი ჯანკარლო მინარდი. მას გადაუწყვეტია „გაზპრომთან“ ურთიერთთანამშრომლობა და გრანდიოზული პროექტების განხორციელება. მინარდიმ ინტერვიუ მისცა „სპორტის“ ჟურნალისტს.**

● ***რას უკავშირდება თქვენი დაინტერესება რუსეთით? ხომ არ „ეძებთ“ ამ ქვეყანაში მეორე მიხაელ შუმახერს?***

— ისეთი ფენომენის მსგავსის მოძებნა, როგორიც მიხაელ შუმახერია, ძალიან ძნელია. მიმდინარე სეზონში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შუმახერს ბადალი არ ჰყავს. რაც შეეხება რუსეთს, ის მსოფლიოს ისეთივე ნაწილია, როგორც სხვა ქვეყნები. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთშიც მოიძებნებიან ისეთი ავტოპილოტები, რომლებსაც შეეძლებათ წარმატებული ასპარეზობა „ფორმულა 1“-ის შეჯიბრებებში. ჩვენ ტალანტებს ვეძებთ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. რუსეთთან მუშაობა ძალზე საინტერესოდ მეჩვენება.

ჩვენი მიზანია, რუსებს გადავცეთ ჩვენი გამოცდილება, რაც „ფორმულა 1“-ის შეჯიბრებებში წლების განმავლობაში შევიძინეთ. ჩვენი გუნდის სახელს ბევრი ცნობილი პილოტი იცავდა. „ფორმულა 1“-ის მომავალ სეზონში იასპარეზებს ოთხი პილოტი, რომლებიც ოდესღაც „მინარდის“ ღირსებას იცავდნენ: ფიზიკელა, ტრული, ალონსო და უებერი.




მინარდი

● ***დამტკიცდა თუ არა თქვენი გუნდის შემადგენლობა მომავალი სეზონისათვის?***

— ყველაფერი 15 დეკემბერს გადაწყდება, როცა გვეცოდინება, როგორ ჩატარდება ტესტები მომავალ სეზონში. ერთი რამ შემიძლია ახლავე განვაცხადო, — ერთ-ერთი პილოტი 2003 წელს „ფორმულა 1“-ის დებიუტანტი იქნება.

● ***რა აზრის ხართ „ფორმულა 1“-ის ახალ წესებზე?***

— გუნდი მიესალმება სიახლეს. ჩვენ ვიყავით მათ შორის, ვინც წამოაყენა წინადადება ტესტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ჩვენ უკვე გავაგზავნეთ თანხმობა იმაზე, რომ 1 მარტიდან თავისუფალი ტესტები ჩატარდეს. ასეთი ტესტების დროს გუნდებს სამი პილოტის გამოცდის საშუალება ექნებათ, რაც კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის.

## თბილისის „დინამო“ შემდგომ ეტაპზე გავიდა

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა „ჩელენჯის თასის“ მორიგი მატჩი ჩაატარა სტუმრად ბაქოში, ადგილობრივი „ნტდ დევონის“ წინააღმდეგ. ქართველებმა ადმავლობით ითამაშეს და მეტოქე დაამარცხეს 107:67. თბილისელთა შორის საუკეთესო იყო სიროვინა, რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა, 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. ამ გამარჯვების შედეგად „დინამო“ „ჩელენჯის თასის“ შემდგომ ეტაპზე გავიდა.

## ბეკერი სამშობლოში დაბრუნებას შეცდომად მიიჩნევს



**ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომელიც ამას წინათ გადასახადების გადაუხდელობის გამო დამნაშავედ ცნეს, აცხადებს, რომ მონტე-კარლოდან გერმანიაში დაბრუნება შეცდომა იყო.**

**გაზეთ „დიე ცეიტში“ მიცემულ ინტერვიუში ბეკერმა განაცხადა, რომ ის გულდაწყვეტილია გერმანელი ხალხის დამოკიდებულებით მისდამი. (შეგახსენებთ, რომ სასამართლომ გადასახადის გადაუხდელობისათვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 500 000 ევროთი დააჯარიმა). ამავე ინტერვიუში ბეკერი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირების მიმდინარეობის დროს, მაყურებელთა მიზიდვის მიზნით, შესვენებისას კორტებზე უნდა გაუშვან კლოუნები და მოკლეკაბიანი გოგონები, აგრეთვე მუსიკა დაუკრან ორკესტრებმა, — მოკლედ, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩების დროს ხდება.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




15 ნოემბერი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (11.20), ***НТВ плюс футбол.*** „ფუტბოლ მუნდიალი“ (13.20), ჩემპიონთა ლიგის მე-2 ეტაპის წილისყრა (14.25), ჩემპიონთა ლიგა (15.00, 16.50, 22.00), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (19.20), ჩემპიონთა ლიგის მე-2 ეტაპის წილისყრა (21.30), განელილი კვირის ჰიტ-პარადი (23.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.15). ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (14.00). ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი (18.00), ბატუტზე ხტომა. ევროპის ჩემპიონატი (12.00), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (21.15, 22.40, 0.10). ტაილანდური კრივი (2.25). *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (8.30, 3.15). ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა (14.00), უეფა-ს თასი (18.00).

16 ნოემბერი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „ლოკომოტივი“ – თბილისის „ვიტ ჯორჯია“. რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან (15.00). *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“. (23.30), *მე-9 არხი.* რაგბი: შოტლანდია – ავსტრალია. პირდაპირი ტრანსლაცია (19.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (13.15). „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.40), ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერ სიტი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“, პირდაპირი ტრანსლაცია (16.10). გერმანიის ჩემპიონატი (18.25, 22.30), ინგლისის ჩემპიონატი (20.45), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (16.55). ნბა-ს საკალათბურთო ჩემპიონატი (21.25), ბატუტზე ხტომა. ევროპის ჩემპიონატი. პირადი პირველობა (23.25), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (1.25). *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 3.00), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა (14.30).

17 ნოემბერი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „დინამო“ – ბოლნისის „სიონი“. რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან (15.00). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30). მე-9 არხი. „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00, 1.35), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (17.00), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55, 23.30), რუსეთის ჩემპიონატი: „ტორპედო-ზილი“ – „როსტსელმაში“, პირდაპირი ტრანსლაცია (20.10), გერმანიის ჩემპიონატი (21.50), ***НТВ плюс спорт.*** პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისთვის: ერიკ მორალესი – პოლ აიალა (7.00). ჰოკეი. ნხლ-ს ჩემპიონატი (15.15), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისათვის (18.00). ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (20.15). ტაილანდური კრივი (1.30). *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30, 3.00), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა (14.00, 18.45).

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ცენტრის ყოფილი თანამშრომელი ოფთომოლოგი

ციალა შურღაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული კატეგორიის მსაჯს ფეხბურთში ზაზა ტყემალაძეს მამის გარდაცვალების გამო.

## კროსვორდი № 89



თარაზულად: 4. „ბარსელონას“ და ჰოლანდიის ნაკრების მცველი, 9. გამოჩენილი ლიტველი კალათბურთელი, 10. ბრაზილიელი ნახევარმცველი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 11. გამოჩენილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 12. „არსენალის“ და ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი, 14. გამოჩენილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 15. ცურვის სტილი, 18. „მილანის“ მეკარე, 20. ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 21. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 22. „ბოლონიას“ თავდამსხმელი, 23. ლეგენდარული უნგრელი მოკრივე, 24. ფეხბურთში საქართველოს ნაკრების მცველი. 25. საბრძოლო სპორტული იარაღი, 27. წარსულში ცნობილი მაროკოელი სტაიერი, 29. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 34. ამერიკელი ჩოგბურთელი, 35. წარსულში ცნობილი ქართველი ხელბურთელი, 36. სპორტის სახეობა, 37. ცნობილი ქართველი საჭადრაკო მიმომხილველი, 38. გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი, 39. იტალიის საკალათბურთო კლუბი.

შვეულად: 1. „ინტერის“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი, 2. 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 3. ცნობილი ჩილელი ფორვარდი, 5. ლეგენდარული ესპანელი მეკარე, 6. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 7. უნგრელი ფეხბურთელი, ევროპის 1967 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, 8. „იუვენტუსის“ მეპატრონე და პრეზიდენტი, 12. ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 15. მსოფლიოს რეკორდსმენი სიმაღლეზე ჭოკით ხტომაში. 16. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 17. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 19. რუსი ფორვარდი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 26. ურუგვაელი ფეხბურთელი, 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 28. მსოფლიოს II და XIV საფეხბურთო ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყანა, 30. ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 31. ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე, 32. ამერიკელი მძლეოსანი ქალი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მ. სირბილში, 33. ბრაზილიელი მეკარე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

### კროსვორდი №88 პასუხები

თარაზულად: 5. რეჰაგელი, 6. პლანიჩკა, 8. ინგლისი, 9. შირერი, 10. „ინტერი“, 14. „ბარსელონა“, 16. ოთარი, 17. დანია, 18. „დინამო“, 19. პერუცი, 22. შიონი, 23. ვიერი, 24. ალბერტინი, 27. ბელგია, 30. ჩოხელი, 31. მარშალი, 32. ოლივიერი, 33. გახოკიძე.
შვეულად: 1. ზამორა, 2. ილინი, 3. კლოსი, 4. კიგანი, 5. რუმინეთი, 7. ასპრილია, 11. კარბახალი, 12. ანდერსონი, 13. პროდანი, 15. მაზინიო, 20. ჩისლენკო, 21. არველაძე, 25. „ვიძევი“, 26. ბონეკი, 28. მაურო, 29. „ალთაი“.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლh8 მუქარა 2. ლd4X.
1. ...კe5 2. ლ:e5X. 1. ...c3 2. ლf8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com